ადრესატი:

კობა ლურსმანაშვილი
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

წერილის ნომერი:**05-682613562**
თარიღი: **15/05/2026**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 დეკემბრის N 19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. მოგახსენებთ, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში მიმდინარე წლის 06 აპრილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N3 დადგენილებით განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილების შემდეგ, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით რამდენჯერმე განხორციელდა საბიუჯეტო ცვლილება, მათ შორის ერთ შემთხვევაში მოხდა 2026 წლის ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების გაზრდაც ჯამში 1 011 506 (ერთი მილიონ თერთმეტი ათას ხუთას ექვსი) ლარით, რომლის შესახებაც დაუყოვნებლივ ეცნობა საკრებულოს. **(დან.N1)** მათ შორის:

ა) საქართველოს მთავრობის 2026 წლის 30 აპრილის N878 განკარგულებით საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ,,საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის“ შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ,,მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გამოეყო 381 506 (სამას ოთხმოცდაერთი ათას ხუთას ექვსი ლარი, მათ შორის: სოფელ ბჟინევში გზის რეაბილიტაცია პირველი ეტაპი 200 000 ლარი; სოფელ ზვარეში (ხიხაძეები, ორთოიძეები) საუბნო გზის რეაბილიტაცია პირველი ეტაპი 181 506 ლარი.

ბ) საქართველოს მთავრობის 2026 წლის 01 მაისის N 886 განკარგულებით ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2026 წლის 19 მარტის N 580 განკარგულებაში და 2025 წლის თებერვლის თვეში განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის (საკუთრებაში რეგისტრირებული საცხოვრებელი სახლები, რომლებიც სრულიად დაინგრა ან არ ექვემდებარება აღდგენას) კომპენსაციის გაცემის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ,,საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის“ შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გამოუყო 630 000 ლარი.

2. საქართველოს მთავრობის 2025 წლის 25 დეკემბრის N 2260-1 განკარგულებით 2026 წლის 25 მარტის N1 შეთანხმების საფუძველზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტს მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის დამატებით გამოეყო 3 879 ლარი 20 თეთრი. **(დან. N2; N3)**

3. მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის 2026 წლის 15.05. N03-682 613 440 მომართვის თანახმად **(დან. N4)** ყოფილი პოლიციის შენობას ესაჭიროება სახურავის რებილიტაცია.(უნდა მოხდეს დაზიანებული ცხაურების და არხების რეაბილიტაცია, სახურავის ჩატეხილი მონაკვეთის აღდგენა, დაზიანებული ნივნივების შეცვლა, სახურავის ხის ელემენტების ანტისეპტიკურ--ცეცხლდამცავი ხსნარით დამუშავება და სახურავის დაფარვა მეტალოკრამით) რისთვისაც საჭიროა 68,5 ათასი ლარი.

აღნიშნული სახსრების უზრუნველსაოფად საჭიროა მოხდეს პრიორიტეტებს შორის ცვლილება და აღნიშნული თანხა 68 513 ლარი გადმოტანილი იქნას კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის სპორტის განვითარების პროგრამიდან ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის კეთილმოწყობის პროგრამაში.

4. ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების 2026 წლის 14.05. N5 მომართვის თანახმად 2026 წლის ვალდებულებების შესასრულებლად დამატებით ესაჭიროება 203,0 ათასი ლარი. მათ შორის,

ა) დასუფთავება და ნარჩენების გატანა 03 01 პროგრ. კოდზე - 152 .0 ათასი ლარი. (გზების შეკეთება და მეწყერისაგან სავალი გზების გასაწმენდად 60.0 ათასი ლარი; სანიაღვრე არხებისა და ცხაურების მოსაწყობად 20 ,0 ათასი ლარი; საამშენებლო მასალების შესაძენად 20,0 ათასი ლარი; საწვავ საპოხი მასალების გაძვირების გამო 25,0 ლარი; სამხარაულიდან ექსპერტის მოსაწვევად 3,0 ათასი ლარი; მუნიციპალიტეტის სოფლებში დასუფთავების თანამშრომლების (მეეზოვები, მუშები) შრომის ანაზღაურებისათვის 24,0 ათასი ლარი).

ბ) გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია 02 03 01 პროგრ. კოდზე - 35,0 ათასი ლარი (ელექტროენერგიის ფასისა და გარე განათების ქსელის გაზრდის გამო -20,0 ლარი; გარე განათების

ქსელის რეაბილიტაციისათვის საჭირო მილების და დამხმარე მასალების შესაძენად - 15,0 ათასი ლარი.

გ) მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა 03 02 პროგრ. კოდზე 16,0 ათასი ლარი. პარკის მომვლელების შრომის ანაზღაურებისათვის.

ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების 2026 წლის ბიუჯეტის ზრდა 203,0 ათასი ლარით მოხდეს 2026 წლის პირველ იანვარს არსებული საკუთარი საბიუჯეტო სახსრების თავისუფალი ნაშთის ხარჯზე.

5. მერიის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის მომართვის თანახმად (დან. N 6) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ახალშობილთა ოჯახების დახმარების ქვეპროგრამაში ერთჯერადი დახმარების გაცემის წესის ცვლილების გამო ცვლილება შევიდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 დეკემბრის N 19 დადგენილების მეორე თავის მეცამეტე მუხლის 5.2.14 პუნქტში და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

აღწერა: ქვეპროგრამის მოსარგებლენი არიან მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ახალშობილთა ოჯახები. დახმარება ერთჯერადად განისაზღვრება პირველი და მეორე ბავშვის შეძენის შემთხვევაში 500 ლარის ოდენობით, მეორე და მესამე ბავშვის შეძენის შემთხვევაში 1000 ლარის ოდენობით, ხოლო მეოთხე და მეხუთე ბავშვის შეძენისას 2000 ლარის ოდენობით. ტყუპების შეძენის შემთხვევაში თითოეულ ბავშვზე გაიცემა ზემოთ ხსენებული რიგითობის შესაბამისი თანხა.

სულ ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე,

აღნიშნულიდან გამომდინარე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შემოსულობები 30 801 396 ლარი იზრდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი 1 015 385 ლარით, მათ შორის: კაპიტალური ტრანსფერიდან 381 506 ლარით, სპეციალური ტრანსფერიდან 630 000 ლარით, მიზნობრივი ტრანსფერით დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 3 879 ლარით და განისაზღვრება 31 816 781 ლარით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გადასახდელები 35 540 382 ლარი კი იზრდება 1 218 385 ლარით და განისაზღვრება 36 758 767 ლარით. გადასახდელების დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი 381 506 ლარი; და სპეციალური ტრანსფერი 630 000 ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 3 879 ლარი და 2026 წლის პირველ იანვარს არსებული საკუთარი საბიუჯეტო სახსრების თავისუფალი ნაშთი 203 000 ლარი.

ნინო მაღლაკელიძე

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური-სამსახურის უფროსი (დროებით მოვალეობის შემსრულებელი)